ვამტკიცებ:

შპს „თელმიკოს“

გენერალური დირექტორი

_____

_____ _____ 2026 წ.

ტექნიკური დავალება

პოლიგრაფიული მასალის ბეჭდვის მომსახურება

ლოტი № 683.26.00101 „სარეკლამო მასალების დამზადება “

2026 წ

1. შესყიდვის საგნის მოკლე აღწერა

შესყიდვა გულისხმობს აბრეშუმის ბრენდირებული აქსესუარების (შარფები და ჰალსტუხები) დამზადებას დამკვეთის კორპორატიული სიმბოლიკის დატანით.

2. პროდუქციის ჩამონათვალი და ტექნიკური მახასიათებლები

№	საქონლის დასახელება	აღწერილობა და მახასიათებლები	რაოდენობა
1	**ბრენდირებული შარფი**	**მასალა:** აბრეშუმი **ზომა:** 70 × 70 სმ. **კიდის დამუშავება:** სუფთა მანქანური ნაკერი.	70 ცალი
2	**ბრენდირებული კლასიკური ჰალსტუხი**	**მასალა:** აბრეშუმი **ზომა:** სიგრძე გაშლილ მდგომარეობაში 148–150 სმ, სიგანე ფართო ნაწილში 7,5 სმ. **დეტალები:** უკანა მხარეს უნდა ჰქონდეს ჰალსტუხის ვიწრო ბოლოს დასაფიქსირებელი მარყუჟი (keeper loop).	10 ცალი

3. ხარისხისა და მომსახურების შესრულების მოთხოვნები

3.1. **ფერების გადაცემა:** ბეჭდვის ფერები მკაცრად უნდა შეესაბამებოდეს დამკვეთის კორპორატიულ ფერებს (Pantone სისტემა).

3.2. **ნიმუშები:** შემსრულებელი ვალდებულია წარმოებაში მთლიანი ტირაჟის გაშვებამდე დასამტკიცებლად წარუდგინოს დამკვეთს საკონტროლო ნიმუში.

3.3. **კერვის ხარისხი:** ნაკეთობებს არ უნდა ჰქონდეს ქსოვილის დეფექტები, ნაკერების სიმრუდე ან ძაფების ნარჩენები.

3.4. პროდუქციის დიზაინს წარადგენს დამკვეთი.

4. მოწოდების ვადები და პირობები

4.1. **მომსახურების გაწევის ვადა:** ხელშეკრულების ხელმოწერიდან 20 კალენდარული დღე.

4.2. პროდუქციის მიწოდება ხორციელდება შემსრულებლის ძალებითა და ხარჯებით დამკვეთის ობიექტზე (ქ. თბილისი).

5. ანგარიშსწორების პირობები

ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ფორმით, შემსრულებლის საბანკო ანგარიშზე თანხის გადარიცხვით, ორმხრივი მიღება-ჩაბარების აქტის (დედნის) ხელმოწერიდან 30-ე კალენდარულ დღეს.

თუ გადახდის თარიღი ემთხვევა დასვენების ან უქმე დღეს, ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო პირველ სამუშაო დღეს.

დოკუმენტაცია, რომელიც არ იქნება წარმოდგენილი სამუშაო ენაზე (ქართული), არ განიხილება.

6. ტექნიკურ დავალებასთან დაკავშირებით გაჩენილი საკითხების დაზუსტება:
საკონტაქტო პირი - პასუხისმგებელი შემსრულებელი: ირინა გამზარდია: (+995) 599 34 94 94) პრესსამსახურის ხელმძღვანელი ნინო ბენდელიანი, Nino.bendeiani@telmico.ge მობ.: 595 110 500

შეთანხმებულია:

პრესმდივანი _____ **ნ. ბენდელიანი**

(თანამდებობა) (თარიღი) (ხელმოწერა) (გაშიფრული ხელმოწერა)